საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-96/ნ

2022 წლის 20 დეკემბერი

ქ. თბილისი

მიწისქვეშა სამთო სამუშაოების (შახტებსა და მაღაროებში) ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე

„მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) დასაქმებული პირების სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის №542 დადგენილების მე-2 მუხლისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართის (მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) დასაქმებული პირების სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობები) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს „მიწისქვეშა სამთო სამუშაოების (შახტებსა და მაღაროებში) ჩამონათვალი“ (დანართი №1).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ზურაბ აზარაშვილი**

დანართი №1

მიწისქვეშა სამთო სამუშაოების (შახტებსა და მაღაროებში) ჩამონათვალი

1. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები;
2. მიწისქვეშა სამუშაოებზე მუდმივად დასაქმებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი:
   ა) უბნის უფროსები და მათი მოადგილეები/თანაშემწეები;
   ბ) სამთო ოსტატები და მათი მოადგილეები/თანაშემწეები;
3. სამთო მუშები;
4. ყველა პროფესიის კომპლექსური ბრიგადის მუშები;
5. წმენდით სანგრევზე დასაქმებული სამთო მუშები აწმენდა/გამოტანაზე;
6. შიდა ტრანსპორტის მაკონტროლებელი თანამშრომლები და თანაშემწეები/დამხმარეები;
7. ბურღვა-აფეთქების სამუშაოების მაკონტროლებელი თანამშრომლები;
8. ვენტილაციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი თანამშრომლები და თანაშემწეები/დამხმარეები;
9. გვირაბგამყვანი;
10. მექანიკოსი, მექანიკოს-შემკეთებელი;
11. ზეინკალი, ზეინკალ-შემკეთებელი;
12. ელექტრიკოსი, ელექტრიკოს-შემკეთებელი;
13. სამთო მოწყობილობების შემკეთებლები;
14. მბურღავები;
15. ამფეთქებელები, ამფეთქებლის თანაშემწეები/დამხმარეები;
16. დასაქმებულები ბურღვა, მოტენვა, დაქსელვა, აფეთქებით სამუშაოებზე;
17. ბულდოზერის, ექსკავატორის, თვითმავალი ვაგონეტკის მემანქანეები, ავტომობილის მძღოლები, დასაქმებულები სანგრევში ქანისა და მადნის აწმენდაზე, საბადოებიდან და სანგრევებიდან ქანისა და მადნის გატანაზე;
18. მსხვრეველი;
19. ელექტრო და აირშემდუღებლები;
20. მებიგე, გვირაბების გამაგრებაზე და შეკეთებაზე;
21. სამთო გამონამუშევრების გამმაგრებელი;
22. ვაგონგადამყირავებლის მემანქანე/ოპერატორი;
23. მანქანების და მექანიზმების, სამთო კომბაინის, კონვეიერის, ჩასატვირთ-მისატანი მანქანის, სკრეპერული მანქანისა და ელმავლის მემანქანეები და დამხმარეები;
24. ამწევი დანადგარის მემანქანეები და დამხმარეები;
25. ჯალამბრის მემანქანე;
26. კონვეიერის მემანქანე;
27. საბურღი დაზგის მემანქანე და დამხმარე;
28. დამტვირთავი მანქანის მემანქანე/ოპერატორი;
29. მკვებავის მოტორისტი;
30. მადანჩამშვები და გადამყირავებლები;
31. მებუნკერეები;
32. დისპეტჩერი/ოპერატორი;
33. გადამგორებელი (მზიდავი), დასაქმებული სამთო მასის ჩატვირთვაზე გადაგორებაზე, გადმოტვირთვაზე;
34. გზის მუშა, დასაქმებული მიწისქვეშა გზის დაფენაზე და შეკეთებაზე;

35. გზის მუშა (რკინიგზელი), დასაქმებული სარკინიგზო გზის შეკეთებაზე;
36. დასაქმებული გამომუშავებული სივრცის ამოვსებაზე;
37. მარკშეიდერულ და გეოლოგიურ სამუშაოებზე დასაქმებულები;
38. სინჯის ამღები, დასაქმებული მადნის მონგრევაზე და სანგრებზე სინჯის აღებაზე;
39. მესიგნალე/მესახელურე/მერულე დასაქმებული სამგზავრო და სატვირთო ლიფტებზე;
40. მეჭაურე, დასაქმებული სკიპების ჩასატვირთ დოზატორთან;
41. მოძრავი შემადგენლობის გადამბმელი კონდუქტორი, დასაქმებული მოქმედ სანგრებზე;
42. მელუქე.